# შირაქი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№45 (9.806)
18 - 25 ნოემბერი 2017 წელი

ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა


## „მე მიყვარს დედოფლისწყარო და თითოეული მოქალაქის ტკივილი მაწუხებს“...



გვ.5



გვ.4

## ქართველობა ძნელია, მაგრამ – აუცილებელი!

## ბორდოში ჩატარებული გამოფენა და მსოფლიოსთვის მეცნიერულად დამტკიცებული რეალობა– „საქართველო ღვინის აკვანია“

გვ.6

## გთავაზობთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტს

გვ.2-3-5



გვ.6

## აქცია შირაქში



გვ.8

## ბიოსფერული რეზერვატი აშენდება?

## მოტივაცია სწავლისთვის



გვ.8

# გთავაზობთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტს

| დასახელება | კოდი | 2017 წლის გეგმა: სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | 2018 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | | 7 665,5 | 2 380,3 | 5 285,2 | 5 567,7 |
| **შემოსავლები** | 1 | 7 550,5 | 2 380,3 | 5 170,2 | 5 467,7 |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | 31 | 115,0 | 0,0 | 115,0 | 100,0 |
| **ფინანსური აქტივების კლება** | 32 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **ვალდებულებების ზრდა** | 33 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | | | | |
| **შემოსავლები** | 1 | 7 550,5 | 2 380,3 | 5 170,2 | 5 467,7 |
| გადასახადები | 11 | 2 955,7 | 0,0 | 2 955,7 | 2 840,0 |
| საშემოსავლო გადასახადი | | 440,0 | | 440,0 | 290,0 |
| ქონების გადასახადი | 113 | 2 515,7 | 0,0 | 2 515,7 | 2 550,0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113111 | 165,7 | | 165,7 | 200,0 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113112 | 0,0 | | | |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113113 | 2,0 | 0,0 | 2,0 | 2,0 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 113114 | 2 320,0 | 0,0 | 2 320,0 | 2 290,0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 113115 | 28,0 | 0,0 | 28,0 | 58,000 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | 1136 | 0,0 | | | |
| სხვა გადასახადები | 116 | 0,0 | | | |
| გრანტები | 13 | 3 194,8 | 2 380,3 | 814,5 | 984,7 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 133 | 3 194,8 | 2 380,3 | 814,5 | 984,7 |
| **ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები** | **1311** | **814,5** | **0,0** | **814,5** | **984,7** |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | | 629,5 | | 629,5 | 799,7 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | | 185,0 | | 185,0 | 185,0 |
| **ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები** | **1312** | **2 380,3** | **2 380,3** | **0,0** | **0,000** |
| სხვა შემოსავლები | 14 | 1 400,0 | 0,0 | 1 400,0 | 1 643,0 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 141 | 1 296,0 | 0,0 | 1 296,0 | 1 520,0 |
| **პროცენტები** | **1411** | 150,0 | | 150,0 | 150,0 |
| **დივიდენდები** | **1412** | **0,0** | | | |
| **რენტა** | **1415** | **1 146,0** | **0,0** | **1 146,0** | **1 370,0** |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 14151 | **959,2** | | 1 136,0 | 1 350,0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 14154 | 10,0 | | 10,0 | 20,0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული რენტა | 14159 | 0,0 | | | |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 142 | 44,0 | 0,0 | 44,0 | 45,0 |
| **ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები** | **1422** | **41,0** | **0,0** | **41,0** | **42,0** |
| საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი | 14222 | 0,0 | | | |
| სანებართვო მოსაკრებელი | 14223 | 1,0 | | 1,0 | 2,0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 142214 | 40,0 | | 40,0 | 40,0 |
| **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება** | **1423** | **3,0** | **0,0** | **3,0** | **3,0** |
| შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან | 14231 | 0,0 | | | |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 14232 | 3,0 | | 3,0 | 3,00 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 143 | 50,0 | | 50,0 | 70,0 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 145 | 10,0 | | 10,0 | 8,0 |
| | | | | | |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **31** | **115,0** | **0,0** | **115,0** | **100,0** |
| ძირითადი აქტივები | 311 | 0,0 | | | |
| **ფინანსური აქტივების კლება** | **32** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,000** |
| **ვალდებულებების ზრდა** | **33** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,000** |
| საგარეო | 331 | 0,0 | | | |
| საშინაო | 332 | 0,0 | | | |

| ორგ. კოდი | დასახელება | 2017 წლის გეგმა: სულ | მათ შორის | მათ შორის | 2018 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|---|
| | **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი** | 10 616,2 | 2 538,2 | 8 078,0 | 6 739,0 |
| | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | 130,0 | 0,0 | 130,0 | 130,0 |
| | **ხარჯები** | 5 734,9 | 0,0 | 5 734,9 | 6 721,5 |
| | შრომის ანაზღაურება | 1 125,9 | 0,0 | 1 125,9 | 1 467,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 1 506,4 | 0,0 | 1 506,4 | 1 861,0 |
| | სუბსიდიები | 2 715,4 | 0,0 | 2 715,4 | 3 006,5 |
| | გრანტები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 313,0 | 0,0 | 313,0 | 333,0 |
| | სხვა ხარჯები | 74,2 | 0,0 | 74,2 | 54,0 |
| | სხვადასხვა ხარჯები | 74,2 | 0,0 | 74,2 | 54,0 |
| | **სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები** | 4,5 | 0,0 | 4,5 | 4,0 |
| | **სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები** | 69,7 | 0,0 | 69,7 | 50,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4 881,2 | 2 538,2 | 2 343,0 | 17,5 |
| | ვალდებულებების კლება | 0,1 | 0,0 | 0,1 | 0,0 |
| | საშინაო | 0,1 | 0,0 | 0,1 | 0,0 |
| | სხვა კრედიტორული დავალიანებები | 0,1 | 0,0 | 0,1 | 0,0 |
| 01 00 | **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება** | 2 444,2 | 4,3 | 2 439,9 | 2 324,5 |
| | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | 121,0 | 0,0 | 121,0 | 121,0 |
| | **ხარჯები** | 1 739,2 | 0,0 | 1 739,2 | 2 307,0 |
| | შრომის ანაზღაურება | 1 055,9 | 0,0 | 1 055,9 | 1 372,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 608,8 | 0,0 | 608,8 | 841,0 |
| | სუბსიდიები | 20,0 | 0,0 | 20,0 | 40,0 |
| | სხვა ხარჯები | 54,5 | 0,0 | 54,5 | 54,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 704,9 | 4,3 | 700,6 | 17,5 |
| | ვალდებულებების კლება | 0,1 | 0,0 | 0,1 | 0,0 |
| 01 01 | **მუნიციპალიტეტის საკრებულო** | 508,4 | 0,0 | 508,4 | 650,5 |
| | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | 23,0 | | 23,0 | 23,0 |
| | **ხარჯები** | 507,3 | 0,0 | 507,3 | 638,0 |
| | შრომის ანაზღაურება | 325,0 | 0,0 | 325,0 | 407,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 182,3 | 0,0 | 182,3 | 229,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,0 | 0,0 | 1,0 | 12,5 |
| | ძირითადი აქტივები | 1,0 | 0,0 | 1,0 | 12,5 |
| | ვალდებულებების კლება | 0,1 | 0,0 | 0,1 | 0,0 |
| | საშინაო | 0,1 | 0,0 | 0,1 | 0,0 |
| 01 02 | **მუნიციპალიტეტის გამგეობა** | 1 877,8 | 4,3 | 1 873,5 | 1 614,0 |
| | **მომუშავეთა რიცხოვნობა** | 98,0 | | 98,0 | 98,0 |
| | **ხარჯები** | 1 173,9 | 0,0 | 1 173,9 | 1 609,0 |
| | შრომის ანაზღაურება | 730,9 | 0,0 | 730,9 | 965,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 418,5 | 0,0 | 418,5 | 602,0 |
| | სუბსიდიები | 20,0 | | 20,0 | 40,0 |
| | სხვა ხარჯები | 4,5 | 0,0 | 4,5 | 2,0 |
| | სხვადასხვა ხარჯები | 4,5 | 0,0 | 4,5 | 2,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 703,9 | 4,3 | 699,6 | 5,0 |
| 01 03 | **სარეზერვო ფონდი** | 50,0 | 0,0 | 50,0 | 50,0 |
| | **ხარჯები** | 50,0 | 0,0 | 50,0 | 50,0 |
| | სხვა ხარჯები | 50,0 | 0,0 | 50,0 | 50,0 |
| | სხვადასხვა ხარჯები | 50,0 | 0,0 | 50,0 | 50,0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01 05 | შესყიდვებთან (ტენდერი, აუქციონი და ა.შ.) დაკავშირებული ხარჯები | 4,0 | 0,0 | 4,0 | 5,0 |
| | ხარჯები | 4,0 | 0,0 | 4,0 | 5,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 4,0 | 0,0 | 4,0 | 5,0 |
| 01 09 | ჰერალდიკა | 4,0 | 0,0 | 4,0 | 5,0 |
| | ხარჯები | 4,0 | 0,0 | 4,0 | 5,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 4,0 | 0,0 | 4,0 | 5,0 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 92,6 | 0,0 | 92,6 | 115,0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 9,0 | 0,0 | 9,0 | 9,0 |
| | ხარჯები | 92,6 | 0,0 | 92,6 | 115,0 |
| | შრომის ანაზღაურება | 70,0 | 0,0 | 70,0 | 95,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 22,6 | 0,0 | 22,6 | 20,0 |
| | მიმდინარე | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 4 661,5 | 2 522,6 | 2 138,9 | 1 000,0 |
| | ხარჯები | 894,7 | 0,0 | 894,7 | 1 000,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 875,0 | 0,0 | 875,0 | 1 000,0 |
| | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 875,0 | 0,0 | 875,0 | 1 000,0 |
| | სხვა ხარჯები | 19,7 | 0,0 | 19,7 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3 766,8 | 2 522,6 | 1 244,2 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 3 766,8 | 2 522,6 | 1 244,2 | 0,0 |
| 03 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა | 2 355,4 | 1 879,5 | 475,9 | 80,0 |
| | ხარჯები | 75,0 | 0,0 | 75,0 | 80,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 75,0 | 0,0 | 75,0 | 80,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2 280,4 | 1 879,5 | 400,9 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 2 280,4 | 1 879,5 | 400,9 | 0,0 |
| | შენობა-ნაგებობები | 2 280,4 | 1 879,5 | 400,9 | 0,0 |
| | გზები | 2 280,4 | 1 879,5 | 400,9 | |
| 03 02 04 | დასუფთავების ღონისძიებები | 664,8 | 0,0 | 664,8 | 670,0 |
| | ხარჯები | 590,0 | 0,0 | 590,0 | 670,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 590,0 | 0,0 | 590,0 | 670,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 74,8 | 0,0 | 74,8 | 0,0 |
| 03 02 04 | საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები | 316,1 | 219,9 | 96,2 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 316,1 | 219,9 | 96,2 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 316,1 | 219,9 | 96,2 | 0,0 |
| | შენობა-ნაგებობები | 316,1 | 219,9 | 96,2 | 0,0 |
| 03 02 01 | მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების და ფასადების რეაბილიტაცია | 19,7 | 0,0 | 19,7 | 0,0 |
| | ხარჯები | 19,7 | 0,0 | 19,7 | 0,0 |
| | სხვა ხარჯები | 19,7 | 0,0 | 19,7 | 0,0 |
| | სხვადასხვა ხარჯები | 19,7 | 0,0 | 19,7 | 0,0 |
| | სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები | 19,7 | | 19,7 | |
| 03 02 02 | წყალსადენი სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 389,5 | 211,8 | 177,7 | 0,0 |
| | ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 389,5 | 211,8 | 177,7 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 389,5 | 211,8 | 177,7 | 0,0 |
| | შენობა-ნაგებობები | 389,5 | 211,8 | 177,7 | 0,0 |
| | საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები | 389,5 | 211,8 | 177,7 | |
| 03 02 03 | გარე განათების სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 690,9 | 151,7 | 539,2 | 250,0 |
| | ხარჯები | 210,0 | 0,0 | 210,0 | 250,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 210,0 | 0,0 | 210,0 | 250,0 |
| | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 210,0 | 0,0 | 210,0 | 250,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 480,9 | 151,7 | 329,2 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 480,9 | 151,7 | 329,2 | 0,0 |
| | შენობა-ნაგებობები | 480,9 | 151,7 | 329,2 | 0,0 |
| 03 03 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 225,1 | 59,7 | 165,4 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 225,1 | 59,7 | 165,4 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 225,1 | 59,7 | 165,4 | 0,0 |
| | შენობა-ნაგებობები | 225,1 | 59,7 | 165,4 | 0,0 |
| | სხვა შენობა-ნაგებობები | 225,1 | 59,7 | 165,4 | |
| 04 00 | განათლება | 1 634,1 | 9,2 | 1 624,9 | 1 600,0 |
| | ხარჯები | 1 368,8 | 0,0 | 1 368,8 | 1 600,0 |
| | სუბსიდიები | 1 368,8 | 0,0 | 1 368,8 | 1 600,0 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 1 120,8 | 2,1 | 1 118,7 | 1 026,5 |
| | ხარჯები | 976,6 | 0,0 | 976,6 | 1 026,5 |
| | სუბსიდიები | 976,6 | 0,0 | 976,6 | 1 026,5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 144,2 | 2,1 | 142,1 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 144,2 | 2,1 | 142,1 | 0,0 |
| 05 01 01 | სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა | 256,0 | 0,0 | 256,0 | 260,0 |
| | ხარჯები | 256,0 | 0,0 | 256,0 | 260,0 |
| | სუბსიდიები | 256,0 | | 256,0 | 260,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 05 01 02 | სპორტული დარბაზების/მოედნების შეძენა/მშენებლობა | 144,2 | 2,1 | 142,1 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 144,2 | 2,1 | 142,1 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 144,2 | 2,1 | 142,1 | 0,0 |
| | შენობა-ნაგებობები | 144,2 | 2,1 | 142,1 | 0,0 |
| | სხვა შენობა-ნაგებობები | 144,2 | 2,1 | 142,1 | |
| 05 02 01 | ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის"ადმინისტრაციული ხარჯები | 60,0 | 0,0 | 60,0 | 60,0 |
| | ხარჯები | 60,0 | 0,0 | 60,0 | 60,0 |
| | სუბსიდიები | 60,0 | | 60,0 | 60,0 |
| 05 02 01 | კულტურის სახლები | 240,0 | 0,0 | 240,0 | 240,0 |
| | ხარჯები | 240,0 | 0,0 | 240,0 | 240,0 |
| | სუბსიდიები | 240,0 | | 240,0 | 240,0 |
| 05 02 01 | ბიბლიოთეკები | 57,0 | 0,0 | 57,0 | 57,0 |
| | ხარჯები | 57,0 | 0,0 | 57,0 | 57,0 |

# ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი!



*ჩვენი რაიონის ღირსეულ მამულიშვილთან, სოფელ არბოშიკში დაბადებულ-გაზრდილ ზვიად სეხნიაშვილთან ინტერვიუზე მუშაობა, ჩემი დიდი ხნის ჩანაფიქრი იყო, თუმცა დროის სიმცირის და მანძილის სიშორის გამო, ვერა და ვერ მოხერხდა. ზვიადი მრავალი წლის წინ „კვირის პალიტრის“ რედაქციაში გავიცანი. რედაქციის ფოიეში ვიჯექი და ველოდი, როდის მაცნობებდა დაცვა, რომ მაღლა ასვლის უფლება მქონოდა. ავედი, რამდენიმე ადამიანს შევხვდი. უნდა წამოვსულიყავი, რომ მოულოდნელად მიხმეს, ისე არ წახვიდეთ, რომ სეხნიაშვილთან არ შეიაროთ, მისი კუთხიდან ყოფილხართ და ის თქვენს გაცნობას ელოდებაო.*

*დღესაც თვალწინ მიდგას მაშინდელი შეხვედრა, საუბარი რაიონის ავ-კარგზე.*

*დღეს ზვიად სეხნიაშვილი პატრიარქის, ილია მეორის კურთხევით ჩოხოსანთა საზოგადოებას უდგას სათავეში. ეს პატარა ღირსება არ გახლავთ. სხვადასხვა საკითხზე მისი ნააზრევის მკითხველამდე მიტანა ჩემი დიდი ხნის სურვილი იყო.*

**-ზვიად, მოდით ბავშვობიდან დავიწყოთ...**

- დავიბადე 1967 წლის 29 დეკემბერს. 12 წლამდე ვიზრდებოდი სოფელ არბოშიკში, 1979 წლიდან რუსთავში გადავედით საცხოვრებლად. ის პერიოდი, როდესაც არბოშიკის საჯარო სკოლაში გავატარე, დღემდე უტკბილეს მოგონებად მრჩება. ჩვენი კლასის თითოეული წევრი ერთმანეთის განუყრელი მეგობრები ვართ, ნათელმირონობაც გვაკავშირებს და, რაც მთავარია, უანგარო სიყვარული ერთმანეთის მიმართ. ერთხელ მათ საოცრად ამაღელვებელი სიურპრიზი მოვუწყე. აღმოვაჩინე, რომ 7 წყვილს, რომლებსაც ოჯახები აქვთ და უკვე მოწიფული შვილები ჰყავთ, არ ჰქონდა ჯვარი დაწერილი. შევათანხმეთ ყველაფერი არბოშიკის წმიდა კვირიკეს და ივლიტას სახელობის ტაძრის წინამძღვართან, მამა ლევანთან და ერთ ლამაზ დღეს 7 ჯვრისწერა ჩავატარეთ, რასაც ერთობლივი ბანკეტი მოჰყვა. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება, რადგან ეს იყო მართლმადიდებლობის და სიყვარულის ზეიმი ჩემს მეგობრებში.

**-მშობლიური სოფელი არბოშიკი- რას ნიშნავს თქვენთვის?**

-არბოშიკი - ეს ის სოფელია, სადაც ჩემი აკვანი დაირწა, სადაც ჩემი პაპა და ბებია თავს მევლებოდნენ და მიტარებდნენ ზნეობის გაკვეთილებს, სადაც გაიარა ჩემმა ტკბილმა ყრმობამ, სადაც ცხოვრობდა თბილი და მადლიანი ხალხი: სამშობლოზე, სოფელზე თავგადაკლული დიდი ადამიანები, რომლებიც დარიალის კარიბჭესავით ედგნენ დარაჯად სოფლის სინდისსა და ნამუსს. ამიტომაც არის, რომ ვერაფრით ველევი პაპისეულ ნაფუძარს, ძველი სახლის კედლებს ვეამბორები-ხოლმე ყოველი ჩამოსვლის დროს და ეს სწორედ ის ღვთაებრივი წამია, როცა თვალწინ გამიელვებს და მიცოცხლდება ჩემი ბავშვობა, რომელსაც დღესაც მივდევ ფეხმარდ რაშზე ამხედრებული, ნახევარ საუკუნეს მიტანებული ჭაღარა კაცი, რადგან როცა დიდ ბავშვად ვრჩები, მხოლოდ მაშინ ვახერხებ ჩემში შემორჩენილი ნატამალი სისუფთავის გადარჩენას ამ ნდობადაკარგულ და ზნეობამინავლებულ წუთისოფელში.

**-სკოლის შემდეგი წლები, თქვენს მიერ განვლილი გზა და სამსახურებრივი საქმიანობების ქრონოლოგია.**

-სკოლის დამთავრების შემდეგ ვიმსახურე ჯარში, მოსკოვის ოლქში. შემდეგ ვსწავლობდი ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მუშაობა დავიწყე ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის” სპორტული გადაცემების რედაქტორად, სადაც დავყავი წელიწადნახევარი და იდეოლოგიური შეუთავსებლობის გამო გამოვემშვიდობე ამ ტელევიზიას. ვიმუშავე ტელეკომპანია ქვემო ქართლის სპორტული გადაცემების რედაქტორად. გაზეთ „შანსის” მთავარი რედაქტორის მოადგილედ. მოგვიანებით გაზეთ „ლელოს” მთავარ კონსულტანტად და ქართული პრესის ფლაგმანის, „კვირის პალიტრის” პასუხისმგებელ რედაქტორად. პარალელურად, 10 წლის მანძილზე ვაქვეყნებდი პუბლიკაციებს ამავე გაზეთში, რომელშიც შევიძინე ჟურნალისტისთვის და პუბლიცისტისთვის აუცილებელი პროფესიული თვისებები. 2014-17 წლებში გახლდით რუსთავის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, ხოლო 2015 წლის 3 დეკემბერს დადგა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი, უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II დამადგინა თავის მოადგილედ საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოებაში.

**-დღეს დეფიციტი გახდა ნამდვილი მამულიშვილების პოვნა, რომლებსაც სამშობლოსთვის უძგერთ გული, რამდენად რთულია, იყო ქართველი და ეს პასუხისმგებლობა ღირსეულად ზიდო?**

- მამა გიორგის (ბასილაძე) სიტყვებით ვიტყოდი : „ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი”. ჩვენ ვცხოვრობთ ურთულეს ეპოქაში, რომელსაც გლობალიზაცია ჰქვია და ამ დროს გვმართებს დიდი შემართება, რომ გავძლოთ და არ ჩავიკარგოთ დიდი ერების გაერთიანებებში. ჩვენი ბრძოლა ქართული ფასეულობების გადასარჩენად იქნება ძალიან მძიმე, რადგან ეს ფარული ომია ხშირად და გაცილებით რთულია, ვიდრე ღია ომი აშკარად მოძალებულ მტერთან. უნდა გავიმარჯვოთ, სხვანაირად გადავშენდებით. უნდა გადავარჩინოთ ჩვენი შვილების და შვილიშვილების თაობა. სწორედ მათზე მოდის ყველაზე დიდი ზეწოლა, სწორედ მათ ახვევენ თავზე უზნეობისა და გარყვნილების პროპაგანდას. ჩვენმა თაობამ უნდა მიიღოს ეს დარტყმები და თუ საჭიროა, შევეწიროთ კიდეც, როგორც ამას ჩვენი წინაპრები აკეთებდნენ, იმისათვის, რომ ჩვენი პატარების სულს არ მიეკაროს ეს ჭუჭყი და ნაგავი, რასაც მას-მედიის თუ სხვა საშუალებებით განუწყვეტლივ ნერგავენ გარკვეული ძალები უცხოეთიდან და მათ გრანტებზე გაყიდული შინაური მოღალატეები. მათ აქვთ შეუზღუდავი ფინანსები და გავლენები, ჩვენს უკან კი დგას ქრისტეს დედულეთი - ჩვენი საქართველო, რომელსაც ვერავის დავანებებთ წასაბილწავად.

**-მოგვიყევით თქვენი „ჩოხოსანთა“ საზოგადოების შესახებ, როდის გახდით ჩოხოსანი და რას გავალებთ ეს ტიტული, რა ღირებულებებით იკვებება თქვენი საზოგადოება?**

- ჩოხოსანთა რიგებში 2013 წელს გავწევრიანდი რუსთავში. მოგვიანებით, ჩვენმა პატრიარქმა თავის მოადგილედ დამადგინა და მითხრა საოცარი სიტყვები : „დღეიდან შენს თავს აღარ ეკუთვნი, შენ უნდა იყო თავდადებული მამულისა და დედა-ეკლესიისთვის”... ასეთი უნდა იყოს ყველა ჩოხოსანი, ეს არის ჩვენი მისია და უმთავრესი დანიშნულება. ჩოხოსანი აღარ ასოცირდება მხოლოდ ყანწთან, ფიალასთან და ფოტოსესიებთან, ქმედითად უნდა ვემსახუროთ სამშობლოს. საამისოდ, რამდენიმე პროექტი შევიმუშავეთ, რომლებიც უკვე განვახორციელეთ და საზოგადოებაც აქტიურად დაგვიდგა გვერდში. მხოლოდ რამდენიმეს ჩამოგითვლით ჩვენი საქმიანობის სფეროდან, რათა მცირედი წარმოდგენა შეგექმნათ ჩოხოსანთა საზოგადოებაზე: დავიწყეთ საყოველთაო ჯვრისწერების პროექტი, რომლის ფარგლებში, უკვე 700-მდე ადამიანი დავაყენეთ საქორწინო გვირგვინის ქვეშ, რომლებსაც ჰყავთ ოჯახები და აქამდე ჯვარი არ ჰქონდათ დაწერილი; ნორჩი ჩოხოსნებითვის დავიწყეთ სასწავლო კურსი - „სამშობლოსმცოდნეობა”, სადაც პატარები სწავლობენ ყველაფერს, რასაც ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო სკოლებში არ ასწავლიან; ვემსახურებით მიუსაფარ, მწოლიარე ადამიანებს, რომლებსაც ოჯახში ჭიქა წყლის მიმწოდებელიც არ ჰყავთ და შეძლებისდაგვარად ვუმსუბუქებთ მათ უმძიმეს ყოფას. მათთვის მიგვაქვს მედიკამენტები, ინვალიდის ეტლები, საყოფაცხოვრებო ნივთები, თუ საკვები. სასჯელაღსრულების ადგილებში, ჩვენი პატიმრებისთვის ვაწყობთ კინოჩვენებებს სტუდია „გუთანის” მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმების მიხედვით; რეგულარულად ვესწრებით წირვა-ლოცვებს და მიგვყავს პატარა ჩოხოსნებიც, რომელთაც ყოველთვის ლოცავს ჩვენი უწმინდესი პატრიარქი; ყველა პროექტის აქ ჩამოთვლა შეუძლებელია და მერწმუნეთ, მთელი ეს საქმიანობა მხოლოდ ჩვენს რწმენას, სიკეთეს და მომავალი თაობის ჭეშმარიტ მამულიშვილებად აღზრდას ემსახურება. ჩოხა ბევრს აცვია, მაგრამ მთავარია გულში გვეცვას ჩოხა. ჩვენ პატრიარქის ჩოხოსნები გახლავართ და ვრჩებით მისი უწმინდესობის ქადაგებებისა და იდეების შეუდრეკელ მიმდევრებად და მცველებად.

**-ილია ამბობდა: „ქვეყანაზე რომ ჭირი არ იყოს, ადამიანი ენას არ ამოიდგამდაო“, დღეს მაინც უჭირს ხალხს, მთლიანად ქვეყანას უჭირს სულიერადაც და ეკონომიურადაც, ამაზე რას იტყვით, რით გაგვამხნევებდით?**

- ნუთუ ხალხს ჰგონია, რომ ჩვენს წინაპრებს ნაკლებად უჭირდათ? ხანდახან ძილს და მოსვენებას არ აცლიდა მოძალებული მტერი, მაგრამ მამულისათვის ოთხივ კუთხით იქნევდნენ ხმალს და არც გუთანს ივიწყებდნენ. ასეთია ჩვენი ხვედრი ისტორიულად. წუწუნით ქვეყანა არასოდეს აშენებულა და არც მხოლოს კუჭზე ფიქრით გადაურჩენია ვინმეს თავი. ჩვენ უფალმა მოგვმადლა ისეთ ეპოქაში ცხოვრება, სადაც მოღვაწეობს ჩვენი ძვირფასი სულიერი მამა - ილია II. იგი თავისი ქადაგებებით, ეპისტოლეებით თუ ყოველდღიური ურთიერთობით გვასწავლის გადარჩენის გზას. სამწუხაროდ, ხშირად დახშული გვაქვს სმენა და არ გვესმის ამ სათნო მოხუცის, რომელსაც არაფერი არ სურს ამ ქვეყანაზე, გარდა სამშობლოსა და ჩვენი კეთილდღეობისა. ჩვენს უნდა გავაცნობიეროთ, რომ ქართველებს უფლისგან არნახული წყალობა მოგვეცა: ჩვენი სამშობლო წილხვედრია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და ცოტა იმაზე მეტი მოგვეთხოვება, ვიდრე ეკონომიკური თუ საყოფაცხოვრებო პრობლემებია. ჩვენი მისია იმ გზით სიარულია, რომელიც ჩვენმა მაღალღირსეულმა წინაპარმა გაიარა და მათი სისხლით მოტანილი მიწა-წყალი გვავალდებულებს შევასრულოთ ეს მისია, რომელსაც მართლმადიდებლობის ერთგულება და დაცვა ჰქვია. მიწიერი პრობლემები სულიერი ამაღლების შემდეგ გვარდება მხოლოდ. დავუდგეთ გვერდში ჩვენს დედა-ეკლესიას და პატრიარქს და ნახავთ, რა შეუძლია ერთობლივი ლოცვის მადლს და ერის თავგანწირვას. სამწუხაროდ, დღეს ქართველი ერი გათითოკაცებულია და ეს არის ჩვენი სიდუხჭირის უმთავრესი მიზეზი.

**-როგორია დღეს თქვენი თვალით დანახული ქართული ეროვნულობის საკითხი ქვეყანაში?**

- საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე დამღუპველად იმოქმედა იდეოლოგიურმა შემოტევამ, ანუ პროპაგანდისტულმა მანქანამ ტელევიზიების, თუ ინტერნეტის სახით, რომელმაც ტვინი გამოურეცხა ადამიანებს. ამ ვითომ უწყინარმა სიცილ-ხარხარის შოუებმა, უცხოურმა სერიალებმა თუ ტელევიზიების წიაღში მომზადებულმა უზნეო გადაცემებმა ხალხს ნელ-ნელა მიავიწყა ზნეობა, ოჯახი, ეკლესია და სამშობლო. საზოგადოება იმ დონემდე დაიყვანეს, რომ ვერ გაურჩევია მარადიული და წარმავალი ღირებულებები. პატრიოტიზმი დასაცინი ტერმინი გახდა, აბუჩად იგდებენ იმ ადამიანს, ვისაც ტრადიციული ფასეულობები შემორჩა. ბევრმა ვერ გაუძლო და მათ იდეოლოგიას დაემორჩილა. ბევრს „30 ვერცხლი” მიუგდეს და ამ გზით დაიმორჩილეს. გმირები ნაცარქექიებად შერაცხეს და ნაცარქექიები გმირებად. ამ ყველაფერს ემატება ხალხის ყოველდღიური ბრძოლა არსებობისთვის და ლუკმა-პურის საშოვნელად. შედეგად, ხელში შეგვრჩა სანდრო კარიძისეული ერი, რომელსაც მისია აღარ გააჩნია და სამწუხაროდ, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს კატასტროფულ დემოგრაფიულ ვითარებას, აღარც შობადობის უნარი გააჩნია და საბალახოც აღარ დაუტოვეს. ჩვენს წინაპრებს კი გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ ჯერ სამშობლოს უნდა მისცე მაქსიმუმი და დასჯერდე იმ მინიმუმს, რასაც შემდეგ სამშობლო და ბედი გიწყალობებს. საზოგადოების ნაწილში კი ზემოთხსენებულმა და კიდევ სხვა უამრავმა მიზეზმა ჩაკლა სამშობლოს მცნება. მთლად პესიმისტურად რომ არ გამოგვივიდეს, გეტყვით, რომ ერს შემორჩა ჯანსაღი ნაწილიც, რომელიც მზადაა სამშობლოსთვის თავი გადადოს და ამის იმედი მაქვს. და კიდევ: ჩვენს ერს უკიდურესი დაცემულობის ჟამს, მუდამ აღმოაჩნდებოდა ხოლმე ფენიქსივით ფერფლიდან აღდგომისა და დამღუპველი გასაჭირის დროს ერთად დგომის უნარი. ერთად დგომას სტიქიის ძალა აქვს - წინ ვერაფერი დაუდგება, მითუმეტეს, როცა ერთად დგება საკუთარი შვილების ბედისა და მომავლისთვის სიმწრით შეკრებილი ქართველი ერი. დიდგორი გაიხსენეთ, ბრძოლის წინ რა ბრძანა დავით აღმაშენებელმა: „თუ ღვთის რჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არათუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ”. ამ სიტყვებშია ჩვენი გადარჩენის საიდუმლო, ჩვენს თავში და არა რომელიმე ზესახელმწიფოების გამომეტებულ მოწყალებაზე.

**-დღევანდელი განათლების სისტემის თქვენეული შეფასება...**

- გადახედეთ 60-70 წლების საქართველოს, გნებავთ უფრო ადრეულ პერიოდს, არ არსებობს მეცნიერების დარგი თუ მიმართულება, სადაც საქართველოს მსოფლიო დონის კორიფეები არ ჰყავდეს. დიმიტრი უზნაძემ ფსიქოლოგია ამოუტრიალა დედამიწას თავის განწყობის თეორიით; ამერიკას და რუსეთს, ამ ორ ზემძლავრ სახელმწიფოს, სამხედრო ავიაცია თუ ბირთვული პოტენციალი ქართველებმა შეუქმნეს. აგერ ახლახან, ენათმეცნიერმა გია კვაშილავამ ძველი კოლხური დამწერლობის მეშვეობით, ფესტოსის დისკო გაშიფრა, რომლის იეროგლიფების ამოცნობა ვერავინ შეძლო დედამიწაზე. ამით იმის თქმა მსურს, რომ ჩვენში ნიჭი და ცოდნის სიყვარული ზეაღმატებული იყო ყოველთვის. ეს კარგად აქვთ შესწავლილი ჩვენდამი მტრულად განწყობილ ძალებს, რომელთაც სურთ, რომ ქართველი ერი აქციონ ხელზე მოსამსახურეებად და მათ მიერ შემუშავებული ტესტებით, უნარ-ჩვევებზე აღზრდილ, გაუნათლებელ საზოგადოებად. უახლოესი წარსულის მანძილზე არსებულმა რეჟიმმა დაუნდობლად დაიწყო მეცნიერების და განათლების საფუძვლების ნგრევა. სკოლის პროგრამებიდან მამულიშვილობის შემცველი ნაწარმოებების მაქსიმალურად შეზღუდვა თუ საერთოდ ამოღება და აი, შედეგიც - მივიღეთ გაუნათლებელი თაობის გარკვეული ნაწილი, რომელსაც დათა თუთაშხია და შოთა რუსთაველი საქართველოს მეფეები ჰგონიათ. ამათ ფონზე, განათლების სფეროში ჩაიბუდეს ისეთმა ლექტორებმა, რომლებსაც სძულთ სიტყვა - მამულიშვილობა და სამშობლო. რისთვის გვინდა მათი განათლება, თუ მას ზნეობა არ ახლავს თავს?.. ლევან გოთუასი არ იყოს, „უზნეო ნიჭს ხომ გაცვეთილი ქალამანიც სჯობია”..

**-გაზეთი „კვირის პალიტრა“ და თქვენ...**

- „კვირის პალიტრა” არის ის მწვერვალი, რომლის დალაშქვრა ნებისმიერ ნიჭიერ კალმოსანს შეუძლია, რადგან აქ ყველა პირობაა შექმნილი დამოუკიდებელი და პირუთვნელი ჟურნალისტებისთვის. განსხვავებით ბოლო დროს მომრავლებული „მოჟურნალისტო” ადამიანებისა, რომლებიც ფულის და მაღალი ჰონორარების გამო არ ერიდებიან შეკვეთილი სიუჟეტების მომზადებას და სათავეშივე არღვევენ ჟურნალისტიკის საფუძვლებს - იყოს ობიექტური. არ მახსენდება ერთი შემთხვევაც კი, რომ „კვირის პალიტრის” ხელმძღვანელობას ეკარნახა ან დაეძალებინა ჩემთვის მასალის მომზადება. ისინი ნამდვილი მამულიშვილები არიან და სწორედ ეს არის მთავარი, რაც ასე აკლია მასმედიის საშუალებებს. არ ვიცი, რამდენად მოვახერხე მწვერვალის დაპყრობა, მაგრამ რაც კი დამიწერია „კვირის პალიტრაში”, ყველაფერი სუფთა სინდისით და სამშობლოსა და ეკლესიის ერთგულებით. სხვანაირად მე ვერაფერს ვერასოდეს დავწერ. რა უნდა აკეთოს კაცმა, რომ კარგ ქართველად შეაფასონ? - განწმენდილი გულით და სიალალით უნდა აკეთო შენი საქმე და ემსახურო ქართველი ერის საუკუნეებით აღიარებულ და დამკვიდრებულ ფასეულობებს, რასაც ენა, მამული და სარწმუნოება ჰქვია. მერწმუნეთ, ქართველი ხალხი ბრძენია, წამში არჩევს შენს ნათქვამში, თუ ნამოქმედარში ყალბსა და ნამდვილს. ტყუილი არ უნდა აკადრო საზოგადოებას და არც არასოდეს უღალატო არანაირი ცდუნების ფასად. ერის სიყვარულს მთელი დედამიწის ქონების ფასადაც წვერ იყიდი, ეს სწორედ სამშობლოსადმი უანგარო ზრუნვამ უნდა მოგაპოვებინოს. და კიდევ, ილიას უკვდავი ფრაზა არ დაგავიწყდეს, ყოველ ღამე, თუკი შენს თავს ჰკითხავ და აღმოაჩენ, რომ იმ დღეს ვინმეს რამე არგე, მაშინ არის შანსი კარგ ქართველად მოგიხსენიონ.

**-როგორია თქვენი ერთი დღე?**

- მე არ ვარ ცხოვრების სიამეებითა და მატერიალურად დალხენილი კაცი, ამ მხრივ მიჭირს, უსაშველოდ მიჭირს, რადგან დღემდე არ გამაჩნია საკუთარი საცხოვრისი და მოგეხსენებათ, ქირით ცხოვრება რასაც ნიშნავს, თუმცა, როდესაც ადამიანს გაქვს მიზანი, როდესაც ემსახურები სამშობლოს, გასაჭირი იოლად გადასატანი ხდება. ნურავინ ჩამითვლის ხიბლში ანდა ამპარტავნებაში, რასაც ახლა გეტყვით: ჩვენ ქიზიყელები ვართ, პირდაპირი და ალალი ხალხი და მიკიბულ-მოკიბულს ვერა ვგებულობთ. ჩემი ყოველდღიური საფიქრალი სამშობლოთი იწყება და ასე ეწყობა ჩემი დღის რეჟიმიც. პატრიარქის ჩოხოსნებს უამრავი საზრუნავი გვაქვს და ვმსჯელობთ, რით ვუშველოთ ჩვენს მამულს და მომავალ თაობას, რით ამოვუდგეთ მხარში ჩვენს უწმინდეს პატრიარქს და დედა-ეკლესიას. ესეც ომია, სადაც გულის სისხლი მტევანივით იწურება და მხოლოდ გულის სისხლს შეუძლია გაგამარჯვებინოს ამ ომში. ქედს ვუხრი ჩემი მშობლიური რაიონის მცხოვრებლებს, ჩემს ძვირფას დედოფლისწყაროელებს ამხელა სიყვარულისთვის და მინდა დავარწმუნო თითოეული მათგანი, რომ მეც გულწრფელი სიყვარული გამაჩნია მათ მიმართ.

**-საქართველოს მომავალს როგორ ხედავთ?**

- საქართველო აუცილებლად გაბრწყინდება და თუ ეს არ გჯერა, ქართველი არ ხარ. მთავარია, ის გესმოდეს, რომ ეს გოლგოთას გზაა და არა მიწიერი სიამეების. ვიღაცას გაბრწყინება ფუფუნებაში ცხოვრება ჰგონია და სხვისი ხელით და საქმით ელოდება ამ დროს. მე კი გეტყვით, რომ ერის გაბრწყინება მოწამეობრივი სისხლით ხდება მხოლოდ, სამშობლოსთვის აღვლენილი ერთობლივი ლოცვით და თავგანწირვით. ამ შეგნებით როდესაც ცხოვრობდა ქართველი, სწორედ მაშინ იდგა საქართველოსთვის ოქროს ხანა. უნდა გავითავისოთ ამ შეგნების არსი, დავიბრუნოთ მამულის განცდა გულში, მივყვეთ ჩვენს ძვირფას პატრიარქს და თავადვე დარწმუნდებით, რომ უფლის მცნებებით მცხოვრები ერი თქვენს თვალწინ მიაღწევს ბრწყინვალებას. რთულია ეკლესიური ცხოვრება? - მერე რა, აკი შევთანხმდით, რომ ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი !

ლალი მეხრიშვილი

# „მე მიყვარს დედოფლისწყარო და თითოეული მოქალაქის ტკივილი მაწუხებს“...



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პირველი არჩეული მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი თავისი უფლებამოსილებების განხორციელებას უკვე შეუდგა. დედოფლისწყარო კახეთის რეგიონში ერთადერთი გამონაკლისია, სადაც მერის სავარძელი მოქმედმა გამგებელმა დაიკავა. იგეგმება თუ არა საკადრო ცვლილებები დედოფლისწყაროში, ან რა არის ის წინასაარჩევნო დაპირება, რომლის შესრულებაც ნიკოლოზ ჯანიაშვილმა უკვე დაიწყო, ამას მისი ინტერვიუდან შეიტყობთ:

**-რა უფლებამოსილება ექნება მუნიციპალიტეტის მერს?**

-დღევანდელი მოქმედი კანონმდებლობით, მოქმედი მერის უფლებამოსილება მუნიციპალიტეტის გამგებლის უფლებამოსილების იდენტურია.

**-თქვენი წინასაარჩევნო დაპირება, რომლის განხორციელებასაც უკვე შეუდექით...**

-თქვენ იცით, რომ ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი არის სუფთა გარემოს შექმნა დედოფლისწყაროელთათვის. ჩვენ 2017 წლის დასაწყისში შევიძინეთ 2 ახალი ნაგავმზიდი და ასი ახალი ურნა, რამაც საშუალება მოგვცა, რომ ქედების ზონიდან დაგვეწყო საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამოტანა, რომელიც აქამდე არ განხორციელებულა, ხოლო მაჩხაანის ზონის სოფლებიდან, თუ აქამდე იყო, რომ ღია ტიპის მანქანა ემსახურებოდა ნაგვის გამოტანას და მოსახლეობა ტომრებითა და პოლიეთილენის პარკებით ყრიდა ნაგავს, ეს აღმოიფხვრა და ამ სოფლებში უკვე განთავსდა ნაგვის ბუნკერები. ჩვენი წინასაარჩევნო დაპირება იყო დედოფლისწყაროს მოსახლეობისთვის ძველი ნაგვის ბუნკერების ახლით შეცვლა, რომელიც, პრაქტიკულად შესრულებულია, თქვენი გაზეთის გამოსვლის დღეს ახალი ურნები უკვე დედოფლისწყაროში იქნება და ძველი ურნები ახლით ჩანაცვლდება.

**-2013-2017 წლების სტატისტიკურ მონაცემებს თუ გადავხედავთ, ადგილობრივი ბიუჯეტი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, მაგრამ კარგი ეკონომიკური მაჩვენებლისთვის საკმარისი მაინც არაა... როგორ გეგმავთ დედოფლისწყაროს ეკონომიკურ განვითარებას და დასაქმების პრობლემის მოგვარებას?**

-დასაქმების პრობლემის გადაჭრა მერიის პირდაპირი კომპეტენცია არ გახლავთ, თუმცა, იქედან გამომდინარე, რომ ყოველწლიურად იზრდება დედოფლისწყაროს ბიუჯეტი, ბიუჯეტის ზრდა კი ავტომატურად ზრდის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, ეს ფაქტორი დადებითად აისახება დასაქმებაზეც- ინფრასტრუქტურული სამუშაოების შედეგად უამრავი ადამიანი საქმდება. შესაძლოა, ეს არაა მუდმივი სამუშაო, მაგრამ დროებით მაინც ხდება მოსახლეობის ნაწილისთვის პრობლემის მოხსნა.

მას შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტი თავის მოვალეობებს უფრო ხარისხიანად შეასრულებს და განახორციელებს, ბევრი პრობლემა ნელ-ნელა მოიხსნება. ასე მოხდა საბავშვო ბაღების შემთხვევაში- გადასახადის გაუქმებამ, ბაღების ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობამ და ბავშვების კვების საკითხის მოგვარებამ აღსაზრდელთა კონტიგენტი გაზარდა. ამ ფაქტორმა კი განაპირობა ახალი, დამატებითი ჯგუფების შექმნა და აღმზრდელებისა და მომუშავე პერსონალის რიცხვის ზრდა.

ეკონომიკური აქტივობები იწვევს დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდას. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ისეთი პროექტები, რომელთა მიზანიც ქვეყანაში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებაა და რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს. ამისი ნათელი მაგალითია ის, რომ 2014 წელს, როდესაც პოლიტიკური ვითარება გამოსწორდა ქვეყანაში და ბიზნესი წნეხისგან გათავისუფლდა, რუსეთში წასული ჩვენი თანამემამულე დაბრუნდა დედოფლისწყაროში, კერძოდ გამარჯვებაში და აქ ხორცის გადამამუშავებელი საწარმო გახსნა, სადაც 45 სამუშაო ადგილი შექმნა; 2017 წელს „იაფი აგროკრედიტის“ ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 15 მარცვლეულის შესანახი საწყობი შეიქმნა, სადაც ადგილობრივი კადრი დასაქმდა...

ასე რომ, ბიუჯეტის სწორად მართვა პირდაპირპროპორციულად განაპირობებს მოსახლეობის დასაქმებასაც და ბევრი სხვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის მოგვარებასაც.

**-რას გეგმავთ ტურიზმის განვითარების მიზნით?**

-ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც და რეგიონული ფონდიდანაც დაიწყება ხელის შეწყობა იმისათვის, რომ მოხდეს ტურისტული პოტენციალის განვითარება. ამისთვის მოეწყობა ინფრასტრუქტურა, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას.

იგეგმება ხორნაბუჯის ციხესთან მისასვლელი გზის კეთილმოწყობა, ასევე სპეციალური ტურისტული ბილიკებისა და მარშრუტების მოწყობა, რათა გაიზარდოს ტურისტების რაოდენობა. ეს კი ავტომატურად ნიშნავს დედოფლისწყაროში მეტი ფულის შემოსვლას, რომელიც გამოიწვევს საოჯახო ტიპის სასტუმროების, კაფეების, მომსახურების სფეროში დასაქმებული ადამიანების რიცხვის ზრდას, ეს ყველაფერი კი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე დადებით ასახვას ჰპოვებს.

დღეს დედოფლისწყაროში უამრავი პროექტი ხორციელდება, რომელიც ადამიანს დასაქმებისა და საკუთარი იდეების განხორციელების საშუალებას აძლევს. ყველამ უნდა გამოიყენოს ეს შანსი, რათა მიიღოს დამატებითი ფინანსური სარგებელი თვითონაც და სხვა ადამიანების დასაქმებაც შეძლოს. ჩვენნაირი ტიპის ქვეყნისთვის სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაშია დასაყრდენი. ასე რომ, იაქტიურეთ, ჩემო თანამემამულეებო, ჩაერთეთ ყველა იმ პროექტში, რომელსაც სახელმწიფოსთან ერთად ჩვენი მუნიციპალიტეტი ახორციელებს. მე დედოფლისწყაროელი ვარ, მიყვარს ჩემი რაიონი და თითოეული მისი მაცხოვრებლის ტკივილი მაწუხებს. მინდა, რომ ეს ყველამ კარგად გაითავისოს.

**-და ბოლოს, ბატონო ნიკოლოზ, იგეგმება თუ არა საკადრო ცვლილებები?**

-მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები არ იქნება, იმიტომ, რომ მე ხუთი წელია, ამ გუნდთან ერთად ვმუშაობ, ვიცნობ თითოეული მათგანის შესაძლებლობას, თუმცა, ცხოვრება წინ მიდის, ახალ გამოწვევებს აყენებს და მომავალში, შესაძლოა, სხვადასხვა ტიპის სტრუქტურული ან საკადრო ცვლილებები განხორციელდეს.

**ესაუბრა**
ინგა შიოლაშვილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | სუბსიდიები | 57,0 | | 57,0 | 57,0 |
| 05 02 01 | მუზეუმები | 54,0 | 0,0 | 54,0 | 54,0 |
| | ხარჯები | 54,0 | 0,0 | 54,0 | 54,0 |
| | სუბსიდიები | 54,0 | | 54,0 | 54,0 |
| 05 02 01 | ძეგლთა დაცვის ხარჯები | 8,5 | 0,0 | 8,5 | 8,5 |
| | ხარჯები | 8,5 | 0,0 | 8,5 | 8,5 |
| | სუბსიდიები | 8,5 | | 8,5 | 8,5 |
| 05 02 02 | კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა | 60,0 | 0,0 | 60,0 | 100,0 |
| | ხარჯები | 60,0 | 0,0 | 60,0 | 100,0 |
| | სუბსიდიები | 60,0 | | 60,0 | 100,0 |
| 05 02 01 | ხელოვნების სკოლა | 100,0 | 0,0 | 100,0 | 100,0 |
| | ხარჯები | 100,0 | 0,0 | 100,0 | 100,0 |
| | სუბსიდიები | 100,0 | | 100,0 | 100,0 |
| 05 03 | საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა | 29,0 | 0,0 | 29,0 | 29,0 |
| | ხარჯები | 29,0 | 0,0 | 29,0 | 29,0 |
| | სუბსიდიები | 29,0 | | 29,0 | 29,0 |
| 05 04 | ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 65,0 | 0,0 | 65,0 | 68,0 |
| | ხარჯები | 65,0 | 0,0 | 65,0 | 68,0 |
| | სუბსიდიები | 65,0 | | 65,0 | 68,0 |
| 05 02 01 | ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლა" და ხალხური სიმღერის სკოლა“ | 47,1 | 0,0 | 47,1 | 50,0 |
| | ხარჯები | 47,1 | 0,0 | 47,1 | 50,0 |
| | სუბსიდიები | 47,1 | | 47,1 | 50,0 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 663,0 | 0,0 | 663,0 | 673,0 |
| | ხარჯები | 663,0 | 0,0 | 663,0 | 673,0 |
| | სუბსიდიები | 350,0 | 0,0 | 350,0 | 340,0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 313,0 | 0,0 | 313,0 | 333,0 |
| 06 01 | ჯანდაცვის პროგრამები | 90,0 | 0,0 | 90,0 | 70,0 |
| | ხარჯები | 90,0 | 0,0 | 90,0 | 70,0 |
| | სუბსიდიები | 90,0 | | 90,0 | 70,0 |
| 06 02 03 | სათნოების სახლი | 220,0 | 0,0 | 220,0 | 230,0 |
| | ხარჯები | 220,0 | 0,0 | 220,0 | 230,0 |
| | სუბსიდიები | 220,0 | | 220,0 | 230,0 |
| 06 02 04 | ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები | 3,0 | 0,0 | 3,0 | 3,0 |
| | ხარჯები | 3,0 | 0,0 | 3,0 | 3,0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 3,0 | 0,0 | 3,0 | 3,0 |
| 06 02 02 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება | 350,0 | 0,0 | 350,0 | 370,0 |
| | ხარჯები | 350,0 | 0,0 | 350,0 | 370,0 |
| | სუბსიდიები | 40,0 | | 40,0 | 40,0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 310,0 | 0,0 | 310,0 | 330,0 |

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2018 წლის პროგრამულ ბიუჯეტსა და პრიორიტეტების დოკუმენტს იხილავთ შემდეგ მისამართზე:**
**http://dedoplistskaro.gov.ge**

# ქალაქ ბორდოში ჩატარებული გამოფენა და მსოფლიოსთვის მეცნიერულად დამტკიცებული რეალობა– „საქართველო ღვინის აკვანია“

**ორიოდე კვირის წინ, ქალაქ ბორდოში, საფრანგეთში ღვინის ცივილიზაციის მსოფლიო ცენტრში გამოფენის „საქართველო - ღვინის სამშობლო" ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის გიორგი სამანიშვილის, ცნობილი ღვინის მაგისტრის ჯულია ჰარდინგის, ღვინის ექსპერტის ერვე რომას და ღვინის ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარის ანა გოდაბრელიძის ხელმძღვანელობით ქართული ღვინის დეგუსტაცია-პრეზენტაციები გაიმართა. ღონისძიებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული 100-მდე სტუმარი - ღვინის მოყვარული და პროფესიონალი დაესწრო. აღსანიშნავია, რომ საქართველო პირველი მიწვეული ქვეყანა გახლდათ, რომელმაც ბორდოში, ღვინის ცივილიზაციის ცენტრში მევენახეობა-მეღვინეობის გამოფენათა ციკლი გახსნა და მუზეუმის საპატიო მასპინძელი იყო. შეხვედრა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, გიორგი სამანიშვილმა გახსნა და გაწეული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა პროექტის მონაწილე მეცნიერებს. გამოფენაზე ქართველები სერიოზული მეცნიერული ნამუშევრით და მეცნიერთა ფართო წარმომადგენლობით ჩავიდა. დელეგაციამ დოკუმენტურად დაუმტკიცა მსოფლიოს, რომ საქართველო ღვინის აკვანია. თუ როგორ მოახერხა ეს, ამაზე ქვემოთ მოგიყვებით. რას მნიშვნელობას იძენს ამ საკმაოდ პრესტიჟულ გამოფენაზე საქართველოს წარმომადგენლობის მონაწილეობა, ამასთან დაკავშირებით ღვინის ეროვნული სააგენტოს პრესსამსახურის წარმომადგენელს** ციცია მამულაშვილს **ვესაუბრეთ.**

**-რას ნიშნავდა ასეთი რანგის ღონისძიებაში საქართველოს მხარის მონაწილეობა და, ამავდროულად, საფრანგეთის მუზეუმში ქართველების მასპინძლობა ჩვენი ქვეყნისთვის?**

-გამოფენა „საქართველო-ღვინის აკვანი“ მიმდინარე წლის 31 ივლისს გაიხსნა. 14 სექტემბერს ცენტრის შესასვლელში მუდმივ ექსპოზიციად ქართული ქვევრიც დაიდგა იმის აღსანიშნავად, რომ „იუნესკომ“ 2013 წელს ქვევრში ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდი მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შეიყვანა.

საქართველო იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც მევენახეობა-მეღვინეობის გამოფენათა ციკლი გახსნა. გამოფენის ფარგლებში გაიმართა არაერთი ღონისძიება - დეგუსტაციები, სამეცნიერო კონფერენციები და პროფესიონალური შეხვედრები. გამოფენის ფარგლებში წარმოდგენილი იყო უნიკალური არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნიმუშები საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან, რომლებიც ადასტურებს, რომ საქართველო უძველესი ღვინის ცივილიზაციის ქვეყანაა. ბორდო ითვლება ევროპის წამყვან კულტურულ და ტურისტულ ცენტრად და მსოფლიო ღვინის დედაქალაქად, რომელიც ყოველწლიურად 6 მილიონზე მეტ ტურისტს მასპინძლობს. ღვინის ცივილიზაციის ცენტრი — ჩიტé დეს ჩივილისატიონს Dუ Vინ — განთავსებულია 14 ათას კვ. მეტრზე და ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით დამთვალიერებლებს ღვინის ცივილიზაციის ისტორიასა და თანამედროვეობას აცნობს.

**-რა დაუმტკიცა საქართველოს მხარემ ბორდოში ჩატარებული გამოფენით მსოფლიოს?**

-პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევების შედეგების შესახებ სპეციალური მოხსენებით მეცნიერთა ჯგუფის წინაშე პენსილვანიის უნივერსიტეტის მუზეუმის პროფესორი პატრიკ მაკგოვერნი (ჴატრიცკ Eდწარდ Mცჩოვერნ) წარსდგა. წარმოდგენილი ექსპოზიცია სტუმრებს შესაძლებლობას აძლევს საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის უწყვეტ ისტორიას გაეცნოს და ამავე დროს, ქართველი და უცხოელი ღვინის მაგისტრების ხელმძღვანელობით, ქართული ღვინის დეგუსტაციებში მიიღოს მონაწილეობა. გამოფენა ღვინის ცივილიზაციის ცენტრში არის საუკეთესო საშუალება კიდევ უფრო კარგად გავაცნოთ ქართული ღვინო ღვინის მოყვარულებს მთელი მსოფლიოდან. გამოფენის ფარგლებში არაერთი დეგუსტაცია-პრეზენტაცია ჩატარდა, სადაც მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ქართულ ღვინოს, ქართული ყურძნის ჯიშების მრავალფეროვნებას, ღვინის დაყენების მეთოდებს. ასეთი დეგუსტაციები საშუალებას იძლევა მომხმარებელმა არა მარტო დააგემოვნოს ღვინო, არამედ დასვას კითხვები, მიიღოს მეტი ინფორმაცია, გაეცნოს სხვადასხვა მოსაზრებას. პროექტში ქართველ მეცნიერებთან ერთად, ჩართული არიან წამყვანი სპეციალისტები მსოფლიოს არაერთი ქვეყნიდან, მათ შორის საფრანგეთიდან, იტალიიდან, კანადიდან, აშშ-დან.

**-როგორი იყო ევროპელი მეღვინეების შეხედულება ამ გამოფენისადმი?**

-ამისთვის, მხოლოდ ერთი შემფასებლის სიტყვები რომ გადმოგცეთ, ესეც საკმარისი იქნება. მუზეუმის სტუმრებისთვის გამართულ დეგუსტაციაზე ქართული ყურძნის ჯიშების მრავალფეროვნებაზე, მევენახეობა-მეღვინეობის 8000 წლიან უწყვეტ ისტორიაზე და ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციებზე, მათ შორის ქვევრის ღვინის უნიკალურობაზე ისაუბრეს ღვინის ექსპერტებმა ჯულია ჰარდინგმა და ერვე რომამ. მათ აღნიშნეს, რომ,- საქართველოს წარმოჩენა ბორდოში არის ძალიან მნიშვნელოვანი. ბორდო არის მეღვინეობის უდიდესი რეგიონი, სადაც ბევრი, კარგი ღვინო იწარმოება და მეღვინეობის დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა, დარწმუნებული ვართ, არა იმაზე დიდი ხნის, ვიდრე საქართველოს. ჩვენთვის დიდი პატივია, გამოფენის ვიზიტორებს გავუზიაროთ ქართული ღვინის ხარისხის და მისი ხასიათის შესახებ მოსაზრებები,- აღნიშნა გამართული პრეზენტაცია-დეგუსტაციის მნიშვნელობის შეფასებისას ჯულია ჰარდინგმა.




**-აშშ-ის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალში ჴNAშ გამოქვეყნდა სტატია, სახელწოდებით „Eარლყ Nეოლიტჰიც წინე ოფ ჩეორგია ინ ტჰე შოუტჰ ჩაუცასუს“ ანუ „საქართველოს ადრეული ნეოლითური ღვინო სამხრეთ კავკასიიდან“. ქართველ მეცნიერებთან ერთად, სტატიის ავტორები არიან მეცნიერები აშშ-დან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, კანადიდან, დანიიდან და ისრაელიდან. როგორ მივიღოთ ეს ყველაფერი, რით დაამტკიცა ქართულმა დელეგაციამ ეს და მნიშვნელოვანია, აღიარებს თუ არა საფრანგეთი, რომ საქართველო მართლაც ღვინის სამშობლოა?**

-მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებამ აღიარა, რომ მეღვინეობის უძველესი კვალი სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი, საიდანაც ის მთელ მსოფლიოში გავრცელდა და უდიდესი გავლენა იქონია სოფლის მეურნეობის, ხალხთა კულტურის, ბიოლოგიის, მედიცინისა და, ზოგადად, ცივილიზაციების ჩამოყალიბებაზე. ღონისძიება, რომელიც აღნიშნული საკითხის განხილვას მიეძღვნა სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა გახსნა. მან აღნიშნა: „2013 წელს ღვინის მწარმოებელთა ასოციაცია შევიკრიბეთ და საქართველოს მაშინდელ პრემიერ-მინისტრს, ბიძინა ივანიშვილს შევხვდით. შეხვედრაზე ვისაუბრეთ, რომ საქართველოს ძლიერი მხარე არის მრავალწლიანი, უწყვეტი ღვინის კულტურა და ეს არის ის მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც კარგად უნდა იყოს შესწავლილი და მსოფლიოს საქართველომ დასაბუთებული სამეცნიერო თვალსაზრისით აჩვენოს, რომ მართლაც არის ღვინის სამშობლო, არის ის ქვეყანა, სადაც პირველად მოხდა ვაზის მოშინაურება, პირველად მოხდა ღვინის წარმოება და რომ საქართველოს აქვს აგროკულტურის ძალიან დიდი ისტორია. ყოველივე ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი იდენტობისთვის, ქართული კულტურის საერთაშორისო დონეზე კომუნიკაციისთვის. მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ყოფილ პრემიერ-მინისტრს, რომელმაც მხარი დაუჭირა ამ ინიციატივას და ღვინის სააგენტომ შეძლო ასეთი მასშტაბის პროექტის განხორციელება“, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა. მოწვეულ სტუმრებს „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სახელმწიფო სამეცნიერო პროექტის“ დასრულებისა და მიღებული მსოფლიო მნიშვნელობის შედეგების შესახებ ინფორმაცია სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორმა, დავით ლორთქიფანიძემ და ასოციაციის „ქართული ღვინო“ თავმჯდომარემ, თინა კეზელმა გააცნეს. თქვენს მიერ ხსენებულ სტატიაში საუბარია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის ახლადჩატარებული მულტიდისციპლინარული კვლევის შესახებ, რომელიც ადასტურებს, რომ აქ მოსახლე ტომები ღვინოს ჯერ კიდევ ძვ.წ. 6000-5800 წლებში, ე.ი. 8000 წლის წინ აყენებდნენ.

2014 წლიდან, ასოციაციის „ქართული ღვინო“ ინიციატივით და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ღვინის ეროვნული სააგენტო ხელმძღვანელობს საერთაშორისო მულტიდისციპლინარულ პროექტს „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა“. პროექტში, ქართველ მეცნიერებთან ერთად, მონაწილეობენ პენსილვანიის, მონპელიეს, მილანის, კოპენჰაგენის, ტორონტოს უნივერსიტეტების, ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტისა და მონპელიეს აგრარული კვლევების ეროვნული ინსტიტუტის (INRA) თანამშრომლები. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით ლორთქიფანიძე, ხოლო კოორდინატორი – ღვინის ეროვნული სააგენტოს მეცნიერი, საქართველოს მევენახეობის დარგის პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი დავით მაღრაძე. პროექტის ფარგლებში პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორის პატრიკ მაკგოვერნის ხელმძღვანელობით ჩატარებული ბიომოლეკულარული კვლევების შედეგად მარნეულის რაიონში მდებარე ნეოლითის პერიოდის „გადაჭრილი გორის“ და „შულავერის გორის“ არქეოლოგიურ ძეგლზე უკანასკნელი პერიოდის გათხრების დროს აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის კედლებზე ღვინისათვის დამახასიათებელი ორგანული მჟავების (ღვინის მჟავა, ვაშლმჟავა, ქარვამჟავა და ლიმონმჟავა) არსებობა დადასტურდა, რაც Vიტის ვინიფერა-ს ვაზის ჯიშისგან დამზადებული ღვინის მარკერია. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერების, ელისო ყვავაძისა და ნანა რუსიშვილის მიერ მუზეუმში ჩატარებულმა პალეობოტანიკურმა კვლევებმა ცხადყო, რომ ადრეული ნეოლითის ხანაში ამ რეგიონში ვაზის კულტურა ფართოდ იყო გავრცელებული. მილანის უნივერსიტეტის მკვლევრებმა, ოსვალდო ფაილას ხელმძღვანელობით, აღადგინეს ძვ.წ. VI ათასწლეულის კლიმატი და დაადასტურეს, რომ ქვემო ქართლში 8000 წლის წინ ვაზის კულტივირებისთვის შესაბამისი პირობები იყო. ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტში, ელიზაბეტა ბოარეტოს ხელმძღვანელობით განხორციელებული ლაბორატორიული კვლევების შედეგად, ჩ14-ის დათარიღების მეთოდით ნიმუშების ასაკი განისაზღვრა ძვ.წ. 6000-5800 წლებით, რაც 600 - 1000 წლით უფრო ძველია, ვიდრე აქამდე უძველესად მიჩნეული ღვინის კვალი ზაგროსის მთიანეთიდან (ირანი).

**-გვაქვს ინფორმაცია, რომ საფრანგეთში ჩატარებული გამოფენა- „საქართველო -ღვინის აკვანი“ შთამბეჭდავად დაიხურა, მოგვიყევით ცოტა რამ ამის შესახებ.**

-საფრანგეთის ქალაქ ბორდოში, ღვინის ცივილიზაციის მსოფლიო ცენტრში (ჩიტé დეს ჩივილისატიონს Dუ Vინ) გამოფენა „საქართველო - ღვინის აკვანი“ ქართული ფოლკლორული ანსამბლ „ბასიანის“ საზეიმო კონცერტით დასრულდა, სადაც ამავე პროექტის ფარგლებში გადაღებული დოკუმენტური ფილმის „საქართველო - ღვინის აკვანი“ პრემიერაც გაიმართა. საღამოს უძღვებოდა ესპანელი მუსიკათმცოდნე პოლო ვალეხო, რომელმაც ქართულ პოლიფონიურ მუსიკასა და ღვინის კულტურაზე ისაუბრა. კონცერტის დასასრულს სტუმრებისთვის ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა. საზეიმო საღამოს საფრანგეთში საქართველოს ელჩი ეკატერინე სირაძე-დელონე, საქართველოს პარლამენტის წევრები და ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები დაესწრნენ. ელჩის განცხადებით, გამოფენამ ათეულ ათასობით სტუმარს მისცა შესაძლებლობა დაეგემოვნებინა ქართული ღვინოები და გაცნობოდა წარმოდგენილ ექსპონატებს, რომლებიც ადასტურებს რომ საქართველო უძველესი მეღვინეობის კერაა. ცენტრის დირექტორის თქმით, გაძნელდება ამ დონის გამოფენის წარმოდგენა შემდეგი მიწვეული ქვეყნისთვის, რომელიც შეძლებს ასეთივე ხარისხიანი და საინტერესო გამოფენის წარდგენას, როგორც ეს საქართველოს შემთხვევაში იყო. გამოფენით ყველა აღფრთოვანებულია.

ლალი მეხრიშვილი

# აქცია შირაქში



დედოფლისწყაროს სამი სოფლის მოსახლეობა შირაქის ველზე საშემოდგომო ხვნა-თესვის სამუშაოებს ვერ ასრულებს. ზემო ქედის, ქვემო ქედისა და არხილოსკალოს მოსახლეობა „საქართველოს ბანკის“ მიერ დაქირავებული დაცვის კომპანიის 50 წარმომადგენლის შირაქში მობილიზებას კიდევ ერთხელ აპროტესტებს.

მოსახლეობის თქმით, 3600 ჰექტარი მიწა „ნაციონალურმა მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს, კომპანია „ჯეოაგროს“ მათგან მალულად მიჰყიდეს. მაგრამ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, „ჯეო -აგროსთან“ ხელშეკრულებით ადგილობრივებს მიწის დამუშავების შესაძლებლობა მიეცათ. თუმცა, მას შემდეგ, რაც „საქართველოს ბანკიდან“ აღებული კრედიტი „ჯეო-აგრომ“ ვერ გადაიხადა, მიწა ბანკის საკუთრება გახდა.

ბანკსა და მოსახლეობას შორის მოლაპარაკება რამდენჯერმე შედგა, თუმცა თანხაზე ვერ შეთანხმდნენ. მოსახლეობა ამბობს, რომ საზღვრისპირა რეგიონში მათი ერთადერთი შემოსავლის წყარო სოფლის მეურნეობაა და ორასზე მეტი ოჯახი შემოსავლის გარეშე რჩება.

აქციაზე ადგილობრივი ხელისუფლებაც იმყოფება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოსახლეობას პრობლემის კანონის ფარგლებში გადწყვეტისკენ მოუწოდებს.

მოსახლეობა ბანკის წარმომადგენლებთან შეხვედრას ითხოვს. ადგილზე მობილიზებულია პოლიციაც. ადგილობრივები წინა კვირას თბილისში, „საქართველოს ბანკის“ ცენტრალურ ოფისთანაც შეიკრიბნენ. როგორც ბანკის წარმომადგენლებმა განმარტეს, საკითხი ბანკის დირექტორთა საბჭოზე გავა განსახილველად, რის შემდეგაც გაირკვევა, დათანხმდება თუ არა ბანკი მოსახლეობის შემოთავაზებას. აქციას სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატიც ესწრებოდა. ირაკლი შიოლაშვილი ამბობს, რომ ბანკი მზადაა ნაკვეთის დროულად რეალიზაცია მოახდინოს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოსახლეობასა და დაცვის პოლიციას შორის ფიზიკური დაპირისპირება ორი კვირის წინაც მოხდა.




## 1960 WLIS NOEMBERI

○ SOFEL JAFARIZIS KOLMEURNEOBIS AVTOMZROLI RAJDEN GOGILASVILI AVTOMANQANIT MUSAOBDA MDINARE IVRIS PIRA WALASI. MOULODNELAD SEMOEFETA GAAFTREBULI DATVI DA EKVETA MANQANAS. MZROLS ARAVITARI IARARI AR GAACNDA, MAGRAM AR DAIBNA. MANQANIT SEEBRZOLA MXECS DA DIDI BRZOLIS SEMDEG IMDENAD DAASUSTA DATVI, ROM DABLA CAMOSVLA DA XELKETIT MOKVLA SEZLO.

○ KOMUNALURI BINEBIS MXRIV NAKLEBOBAS GANVICDIT. ES GAMOWVEULIA ARASWORI GANAWILEBIT DA GAMOYENEBIT. MOBINADRETA NAWILI SXVA QALAQEBSI GADAVIDA SAMUSAOD, WITELWYAROSI DAKAVEBUL-DAKETILI BINEBIS MFLOBELEBAD KI MAINC ITVLEBIAN. ASEA #1 KORPUSSI D. NATROSVILI, ROMELIC TBILISSI MUSAOBS, AQ KI 32 KVADRATUL BINAS AR ABAREBS SABINAO MEURNEOBAS. ASEVEA KIRIS QARXNIS BINASI N. GURINI DA N. BATIASVILI DA SXVEBI. SAWIROA DABIS CENTRSI BINEBI KIDEV ERTXEL GADAISINJOS. ASEVE GVYAVS BINIS QIRI URCI GADAMXDELEBI, WLOBIT TAVS AR IWUXEBEN. ZOGS 5-9 TVIS DAVALIANEBA AQVS, GASUL WELSAC IZULEBIT GADAVAXDEVINET, MAGRAM ISEV URCOBEN.

○ RAMDENIME DREA, RAC WITELWYAROS QARTULI SASUALO SKOLIS AXALMA SENOBAM XARACOEBI SEMOIXSNA DA OQTOMBRISTVIS AXALI PATARZALIVIT TETRKABASI GAMOEWYO. TITQOS MEDIDUROBS KIDEC, CEMI KARI TQVENTVIS SAMUDAMODRIA IQNEBA, SAYVARELO AXALGAZRDEBOO. AR SEIZLEBA ROM MNAXVELI COTAXNIT MAINC AR GACERDES AM SENOBIS WIN. CVENI RAIONIS SINAMDVILESI ES PIRVELI OTXSARTULIANI SENOBAA, ROMELSAC 22 SAKLASO OTAXI AQVS. SKOLIS MSENEBLOBIS SAQMESI MADLOBIS RIRSNI ARIAN SOFEL GAMARJVEBIS, WITELWYAROS ORJONIKIZIS, LENINIS, ZEMO MACXAANIS DA SXVA SOFLEBIS KOLMEURNEEBI, ROMLEBMAC AQTIURI MONAWILEOBA MIIRES AM SAPATIO SAQMESI. AXLA DAGVA-DASUFTAVEBA DARCA DA RAMDENIME DRESI DABIS MSROMELEBI AXAL, KETILMOWYOBIL SKOLAS MIIREBEN. FOTO: B. ARJANENKOSI.



○ RAIONIS CENTRSI E.W. `KURISKOS GORAM~ SAXE ICVALA. TINIS MTAZE DAYARA ATASOBIT KUBMETRI MIWA, ROMELZEDAC SENDEBA DEKORATIULI BARI. MIS ZURGZE ARIMARTA KUTURIS SAXLIS KEDLEBI. ES ADGILI ERT-ERTI LAMAZI DA KETILMOWYOBILI DASAVENEBELI KERA IQNEBA. XSIRAD TARDEBA SABATOBA, SADAC RAIONIS MSROMELEBI ERTVEBIAN.



## 1967 WLIS NOEMBERI

○ `YURADREBA, LAPARAKOBS ZEMO MACXAANI!~ - ES FRAZA MACXAANELEBS XSIRAD SMENIAT DA ZALIAN UYVART ADGILOBRIV RADIOGADACEMATA REDAQTORIS OMAR KORASVILIS XMA. UYVART SOFLIS AXALI AMBEBIS MOSMENA DA MSROMELEBI XSIRADAC USMENEN MAS. UNARIANI AXALGAZRDA YOVELTVIS CDILOBS RADIOGADACEMEBI MIMZIDVELI IYOS. MAGRAM AQVE UNDA ARINISNOS IS NAKLIC, RAC RADIOGADACEMATA REDAQCIAS GAACNIA. ZAFXULIS GANMAVLOBASI AR EWYOBODA GADACEMEBI, RAZEC SOFLIS MSROMELEBI SAMARTLIAN UKMAYOFILEBAS GAMOSTQVAMEN. ASEVE, NAKLEBI YURADREBA ETMOBA IM NAKLOVANEBATA MXILEBAS, ROMLEBIC JER KIDEV ARIS SOFLIS CXOVREBASI.

(STILI DACULIA)

**მოამზადა**
ილია მარტყოფლიშვილმა

# ილიკო შარვაძე



დრო მონატრებას ვერ უძლებს, როცა საყვარელი ადამიანი მიდის, ტოვებს დიდ სიცარიელეს და მოურჩენელ ტკივილს. ჩაიქროლებს, გავა წლები, რაც არ უნდა სდიო, ველარ დაეწევი.

ჩემო ილიკო, ჩემო ერთადერთო, გაფრინდა მეხის დამცემი ხუთი წელი. შემზარავი იყო 2012 წლის 21ნოემბრის-მთავარანგელოზობის სუსხიანი ღამე, ჩაქრა შენი ლამაზი სიცოცხლე 38 წლის ასაკში. ამბობენ, დრო მკურნალიაო, ეს სულ ტყუილია, შვილო, დრო აუტანელი მონატრებაა. იმ ავბედით ღამეს შენს უბედურ დედას ჩაუქრა ერთადერთი სანთელი, რომელიც ცხოვრებას უნათებდა და იმედით შეჰყურებდა მომავალს. იმ ღამეს გაჩერდა შენთვის და ჩემთვის დრო, იმ ღამემ მიგვახვედრა, თუ რა უძლურები ვართ უფლის წინაშე.

ჩემთვის სულ 2012 წლის 21 ნოემბერია. რა ვქნა, თუ წლები გადის კალენდრით, მას ვერ შევაჩერებ, რაც დრო გადის მით უფრო მძაფრდება შენი არყოფნით გამოწვეული ტკივილი და მონატრება, ჩემო ილიკო.

ოცნებად მექცა მე შენი ნახვა, ნატვრად კი, კარგო, შენი ღიმილი. შენ ხომ ამქვეყნად სიკეთისთვის, სიყვარულისთვის იყავი მოვლენილი, მაგრამ ვერ გადაგარჩინა შენმა სიკეთემ. ღმერთმა დაგაჯილდოვა ლამაზი გარეგნობით, ნიჭით და რა იქნებოდა სიცოცხლეც ხანგრძლივი მოეცა შენთვის, არ მოვსწრებოდი ამ უბედურებას, ჩემო ბიჭო.

ბევრი რამ მაქვს სათქმელი შენთვის ამ ხუთი წლის მანძილზე, მაგრამ ვაი, რომ ვერ გაწვდენ ხმას, თითქოს ტრადიციად მექცა ასე, გაზეთის ფურცლებიდან საუბარი შენთან. უშენოდ ჩემთვის ყველაფერი “არაფერია”. შენი მონატრება დედისათვის მძიმე ჯვარია, რომელიც სიკვდილამდე უნდა ვზიდო და ვიტანჯო. ამქვეყნად მე მხოლოდ ვარსებობ და არა ვცოცხლობ. ყოველ სიტყვას თან მოსდევს შენი სახელის ხსენება, შენზე ფიქრი ვერ მაძლევინებს იმ აუტანელ ტკივილს, რასაც უშენობა ჰქვია.

ვიძინებ მხოლოდ ერთი ნატვრით, იქნებ სიზმარში მაინც გამომეცხადო, ჩაგეხუტო, მოგეფერო და მოვიკლა შენი მონატრების სურვილი. შენ ხომ ჩემი დამცველი და დიდი ციხე-სიმაგრე იყავი, ახლა კი სრულიად მიუსაფარი ვარ, ჩემო ბიჭო.

ბუნებაში არაფერი არ იკარგება, შენი სიცოცხლეც და სიკეთეც გაგრძელდება შენს შვილებში და მომავალ შვილიშვილებში. ძნელია შენზე წარსულში საუბარი, შენ ხომ სიცოცხლით სავსე იყავი, შენი ცისფერი თვალები ხომ მუდამ სავსე იყო სითბოთი და სიყვარულით იყო გასხივოსნებული.

გლოვაა ჩემს გულში და ასე იქნება, ვიდრე შენთან არ მოვა შენი უბედური დედა. ვერ ვეგუები ამ მწარე და საშინელ რეალობას.

ძალიან მტკივნეულია და ძნელია შვილის საფლავზე დედის მისვლა, მაგრამ რა ვქნა, ესეც ჩემი სასჯელია, მოვდივარ, აგინთებ უამრვ სანთელს, ტირილით ვიოხებ გულს და ცოცხალმკვდარი ვბრუნდები უკან, ჩემო ილიკო.

ქვაში გაცოცხლებულ შენს სურათთან ჩაიწვება მრავალი სანთელი და შეისმება შენი მარადიული ხსოვნის სადღეგრძელო. ერთ დღეს კი ჩემთვისაც გაიღება სასუფევლის კარი და ველარაფერი დაგვაშორებს, სამუდამოდ ერთად ვიქნებით, შვილო. მშვიდად იძინე იქ, სადაც არც ჭირია და არც მწუხარება. გფარავდეს ნათელი უფლისა და შუქი კელაპტრისა.

შენს სამყოფელს არ მოაკლდება წმინდა სანთლები და შენი უბედური დედის მწარე ცრემლები. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია, იძინე მშვიდად, ნათელი გედგას მარადის . მარადიული სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა ზეციურ ბინადარს.

კურთხეულ იყოს ეს მონატრება და საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ჩემო ილიკო.

**შენი მონატრებული და უბედური დედა**
ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე.

**მონატრება**

# ბონდო ბიკაშვილი

7 წელი გავიდა და ახლა უფრო მეტად ვხვდები, როგორი ახალგაზრდა წახვედი ამ ქვეყნიდან. შენ 53 წლის იყავ, მე – 43 წლის, ზოგადად კი, არ ვფიქრობდით სუკვდილზე, ამიტომ, გაოგნებული ვიყავ, არ ვიცოდი, როგორ უნდა მეცხოვრა უშენოდ, მაგრამ ცხოვრებამ ყველაფერი მასწავლა და შემაძლებინა, რადგან ორი უსუსური, პატარა გოგონა ჩემს იმედზე დატოვე. ალბათ, კმაყოფილი იქნებოდი, ისეთი შვილები გყავს: ჭკვიანები, მშრომელები. ორივემ უმაღლესი განათლება მიიღო და თავისი გზა ნახა. ანამ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის ფაკულტეტი აირჩია, თამარი კი შენს კვალს გაჰყვა და აგრარული უნივერსიტეტის მეღვინეობის ფაკულტეტი დაამთავრა. ანა დაოჯახდა და, უფლის ნებით საოცრება მოხდა, სიძე გიორგი ბიკაშვილი შენი მოგვარე გამოდგა. ამიტომ, ლუკა და სულ რაღაც ერთი კვირის წინ დაბადებული პატარა გაბრიელი შენს გვარსაც აგრძელებენ. ამით შეივსო ის გულისწყვეტა, რასაც ქართველი მამები, ტრადიციულად განიცდიან ხოლმე ვაჟის არყოლის შემთხვევაში. ბევრი შრომა, ჯაფა და უძილოდ გატარებული ღამე მერგო უშენოდ, ცრემლი და წუხილი არ მტოვებს დღემდე. დღეს კი 16 ნოემბერია, შენი დაბადების დღე, საიუბილეო დაბადების დღე – 60 წლის გახდებოდი, ბონდო. ნათელში იყავ, ძვირფასო, ჩემო ტკივილო და სიყვარულო.

**მეუღლე** ნინო წიკლაური.

# შუქო გოგაშვილი



24 ნოებერს 70 წლის გახდებოდი, საყვარელო ძმაო, რა ბედნიერები ვიქნებოდით, ამ საიუბილეო თარიღს ერთად რომ შევხვედროდით, მაგრამ ბედისწერამ ასე არ ინება. 9 წლის წინ, 61 წლის ასაკში, ჯერ კიდევ შრომისუნარიანს, ხალისიანს და სიცოცხლით გაუმაძღარს გულმა გიმტყუნა, გულმა, რომელიც სიყვარულით იყო სულ მუდამ სავსე. ამ მოულოდნელმა განშორებამ დიდი ტკივილი დაგვიტოვა ყველას. ფრთამოტეხილი შენი მეუღლე ნანა ისევ ერთგულად ემსახურება ოჯახს. ალიკას მესამეც ვაჟი შეეძინა და ახლა შენს ნაფუძვარზე 3 ვაჟკაცი იზრდება. გულსატკენია, რომ შენი საყვარელი ქალიშვილის – შორენას დაოჯახებას ვერ მოესწარი და ვერ გაიცანი სიძე - ღირსეული ახალგაზრდა რამაზი ჯანაშვილი. უშენოდ გავლილი 9 წელი ცოტა არ არის, მაგრამ ჩვენი ტკივილის გასაქარვებლად მაინც ცოტაა. ჩვენ ყველას ისევ ძალიან გვენატრები, რადგან შენ იყავ ჩვენს შორის სიყვარულის და სიახლოვის გარანტი, მზრუნველი და ყურადღებიანი ყველასათვის პოულობდი დროს, მიუხედავად იმისა, რომ მუდამ საპასუხისმგებლო სამსახური გქონდა. ჩვენთან ერთად შენს საყვარელ სოფელ არბოშიკსაც ახსოვს შენი ღვაწლი და პატივს მიაგებს შენს ხსოვნას. ნათელში იყავ, ძვირფასო, მშვიდად განისვენე, რადგან შენი სიცოცხლე შენს შთამომავლობაში გრძელდება.

**შენი დები:** მანანა და მერი გოგაშვილები

# გიორგი გონაშვილი



ორმოცი ტანჯვით, მონატრებით და ცრემლით გაჯერებული დღე 16 ნოემბერს გასრულდა. ლოცვა და სანთელ-საკმეველი არ მოგკლებია, რათა უფლის სამსჯავროზე შემდგარი შენი სული დამკვიდრდეს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. ჩვენო დიდო ტკივილო, მართლაც რომ, მეხის გავარდნას და ცის ჩამოქცევას ჰგავდა შენი ტრაგიკული და მოულოდნელი სიკვდილი. დედოფლისწყაროს შემოსასვლელ გზაზე მომხდარმა ავარიამ ორი შესანიშნავი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა. შენ და გიორგი პოპიაშვილს, ორ მეგობარს, ბევრი ოცნება და მიზანი დაგრჩათ აუსრულებელი. მან დაოჯახებაც კი ვერ მოასწრო, შენი სიცოცხლე კი შენს პატარა სალომეში გრძელდება, რომლისთვისაც მხოლოდ სურათებიდან იქნები ცნობილი. სამაგიეროდ, შენზე მოგონებებით გაგრძელდება შენი მეუღლის – ლიკას, მშობლების – ნონას და დავითის, დის – თამარის და ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი მეხსიერებიდან არ წაიშლება შენი სახე, ჩვენო ძვირფასო. 16 ნოემბერს მოვედით შენს საფლავზე, დაგინთეთ სანთლები, შემოდგომის ყვავილებით მოვრთეთ შენი მარადიული სამყოფელი და უფალს კიდევ ერთხელ შევავედრეთ შენი სული. ცრემლის ზღვაში ვიხრჩობით და საშველი არსაითაა. ნათელში იყავ, ჩვენო მოუჩენელო ტკივილო და მონატრებავ, ჩვენო გიორგი!

**ბებია ნაირა თემურაზოვი, პაპა თეიმურაზ ზამთრეული**

# გოდერძი (შოთა) გოგილაშვილი



ამბობენ, დრო მალე გადისო. მართლაც რომ, უცებ გაიელვა 14 წელმა უშენოდ! ნაადრევად დატოვე ამქვეყნიური ცხოვრება, მაგრამ შენს ფუძე-კერაზე უკვე იზრდებიან და მრავლდებიან შენი შთამომავლები ისეთივე სახელითა და სინდის- ნამუსით, როგორც შენ იცხოვრე. ნათელში ამყოფოს შენი სული უფალმა. გვტკივა უშენობა, გვაკლიხარ და გვენატრები.

შენი დიდი ოჯახი.

ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი იუწყება ყოფილი თანამშრომლის, ღვაწლმოსილი პედაგოგის

მაყვალა ნადირაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეგობრები: თამარ მინდიკაური, ზიზო ზურაშვილი, თამარ არაბული, ჟენია ლეკაშვილი, მარიამ ხაჩიაშვილი, ფატი და ლუიზა ზურაშვილები, ნინა ყოჩიაშვილი, თებრო ზურიკაშვილი, რუიზან ფიროსმანაშვილი, ნინა ბურდული, ნორა ალადაშვილი, შორენა წოწოლაშვილი, თამრიკო კოხტაშვილი იუწყებიან

ქეთინო გელაშვილ-კორინთელის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის 2001 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი ლალი ინაშვილი იუწყებიან პედაგოგის

მაყვალა ნადირაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გოდერძი აბულაშვილი და ეთერ ფიცხელაური ოჯახით იუწყებიან ღვაწლმოსილი პედაგოგის

მაყვალა ნადირაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის მეუღლეს ვახტანგ მაძღარაშვილს და ვაჟიშვილს შალვა მაძღარაშვილს.

# მოტივაცია სწავლისთვის

***8 ნოემბერს ქალაქ ყვარელში, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180 წლის იუბილესთან დაკავშირებით, კახეთის რეგიონის საბაზისო საფეხურის წარჩინებული მოსწავლეები დააჯილდოვეს „ჩემი პირველი კომპიუტერით“. დაჯილდოება ილიას სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა.***

***საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორმა, ზვიად როსტომაშვილმა და კახეთის გუბერნატორმა ირაკლი ქადაგიშვილმა კახეთის რეგიონის მასშტაბით 282 წარჩინებულ მოსწავლეს საჩუქრად პერსონალური კომპიუტერი გადასცეს.***

***აღსანიშნავია, რომ საჩუქარი დედოფლისწყაროდან 20, ხოლო სიღნაღის მუნიციპალიტეტიდან 28 მოსწავლემ მიიღო.***

როგორც დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრში აღნიშნავენ, ყველაზე საუკეთესო მაჩვენებელი დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლამ აჩვენა, საიდანაც ყველაზე მეტი მოსწავლე დაჯილდოვდა. დაჯილდოვებულთა დანარჩენი მონაცემები ასეთია: დედოფლისწყაროს №1 სკოლა — 3, მეორე სკოლა — 7, სამრეკლო — 3, გამარჯვება — 1, ზემო ქედის №1 სკოლა — 3, ზემო ქედის №2 სკოლა — 1, ქვემო ქედი — 2.

მოსწავლეები ამბობენ, რომ ეს მათთის დიდი სტიმულია და ამიერიდან სწავლას უფრო მეტი ენერგიით განაგრძობენ.

„ჩემთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, კომპიუტერს გადმომცემდნენ, თუ სხვა საჩუქარს მივიღებდი. მთავარი ისაა, რომ მათი მხრიდან ყურადღება ვიგრძენით. რა თქმა უნდა, კარგი შთაბეჭდილებები დამრჩა, იმიტომ რომ, ამ წლების მანძილზე ჩვენი შრომა დააფასეს და ეს ბევრს ნიშნავს ჩემთვის. ზოგადად, ვთვლი, რომ კარგია ასეთი საჩუქრები ბავშვებისთვის, იმიტომ, რომ წახალისდებიან და უფრო მეტი მოტივაცია ექნებათ სწავლისთვის, კიდევ უფრო მეტს გააკეთებენ და იშრომებენ. პირადად ჩემთვის ეს საჩუქარი შრომის დაფასებას და პატივისცემას ნიშნავს. ამ ღონისძიებით შესაბამისმა ორგანოებმა ჩვენდამი ყურადღება და დაფასება გამოხატეს. ნელ-ნელა ვრწმუნდები, რომ ნამდვილი შრომა ყოველთვის ფასდება. რაც არ უნდა მოხდეს, ასე იქნება. ეს ლეპტოპებიც ზუსტად ამით დავიმსახურეთ. უმაღლეს ქულებზე დავამთავრეთ მეცხრე კლასი. მართალია ბევრჯერ დაგვაკლდა გართობა და ხანგრძლივი მეცადინეობის ფასად დაგვიჯდა, მაგრამ ეს ამად ნამდვილად ღირდა,“ — აღნიშნავს ქალაქ დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ მეხრიშვილი.




„ჩემთვის ეს ჯილდო მართლაც შესანიშნავი იყო. სწავლაზე ისედაც ძალიან მონდომებული ვიყავი, მაგრამ დღეს სწავლა უკვე ჩვევად მექცა.. ვცდილობ, ყველაფრის მიუხედავად, კარგად ვისწავლო, ამაში რა თქმა უნდა, მასწავლებლებიც მეხმარებიან და დიდი მადლობა მათ. ბოლო პერიოდში ჩემი ერთადერთი მიზანი იყო ამ დაჯილდოვებულთა შორის ვყოფილიყავი და გულწრფელად გითხრათ, ერთი სული მქონდა კომპიუტერი მალე ამეღო... ამ ჯილდომ იმდენად გამაბედნიერა, რომ ჩემი ემოციების სიტყვებით გადმოცემა მართლაც მიჭირს. ბევრჯერ მქონია ისეთი შემთხვევა, როცა გართობას და სხვა ყველაფერს მეორე ადგილზე ვაყენებდი, იმიტომ, რომ სწავლაზე ვიყავი ორიენტირებული და დროს არ ვხარჯავდი გართობისთვის. ამას კი ვაკეთებდი არა მარტო იმიტომ, რომ მაინცდამაინც კომპიუტერი მოეცათ, არამედ იმიტომაც, რომ უფრო მეტი რამ გამეგო და თვალსაწიერი გამეფართოვებინა.. შედეგმაც არ დააყოვნა, ბოლოს ჩემი ამდენი წლის შრომა დამიფასდა და მადლობელი ვარ ყველასი, ვინც ეს შესანიშნავი საჩუქარი გაგვიკეთა,“ - განუცხადა „შირაქს“ ერთერთმა მოსწავლემ, მარიამ ქადაგიძემ.



ამგვარი დაჯილდოვებები ყვარელში ტრადიციად იქცა და ყოველწლიურად იმართება.

ილია მარტყოფლიშვილი

# ბიოსფერული რეზერვატი აშენდება?



***17 ნოემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის სამუშაო ოთახში ბიოსფერული რეზერვატის საკითხთან დაკაშირებით გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრისა და მიხეილ ზუკოვის ფონდის წარმომადგენლები, გერმანელი ლანდშაპტების ეკოლოგი-სოფიე ჰირშელმანი. შეხვედრა მიზნად ისახავდა გერმანიაში არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის ბიოსფერული რეზერვატის დასაარსებლად რეკომენდაციების შემუშავებასა და სხვადასხვა ქვეყნის მხარეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას. შეხვედრაზე ასევე განიხილეს ის სარგებელი, რომელსაც ბიოსფერული რეზერვატის შექმნა მოუტანს დედოფლისწყაროს როგორც ეკონომიკური, ასევე გარემოსდაცვითი საკითხების თვალსაზრისით. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა მადლობა გადაუხადა ჩამოსულ ექსპერტებს და გამოთქვა სურვილი, რომ ბიოსფერული რეზერვატი სარგებელს მოუტანს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს.***

**რა არის ბიოსფერული რეზერვატი?**

ეროვნული პარკები და დაცული ტერიტორიების სხვა სახეობები, როგორც წესი, პირდაპირად არიან მიმართულნი კონსერვაციის ფუნქციაზე, კვლევასა და განვითარების ხელშეწყობა კი მეორადი მიზნებია. ბიოსფერული რეზერვატის მართვის კონკრეტული მოდელი არ არსებობს, თუმცა განსაზღვრულია 2 მთავარი პრინციპი: მენეჯმენტის სისტემა უნდა იყოს ღია მოსახლეობის მოსაზრებებისათვის და მოქნილი გარემოში მიმდინარე ცვლილებების მიმართ. ბიოსფერული რეზერვატი ის ადგილია, სადაც მოსახლეობა მუშაობს ტერიტორიის მმართველ სააგენტოებთან, ადგილობრივ თვითმმართველობებთან, სკოლებთან და სხვა ინსტიტუციებთან ერთად იმისათვის, რომ უპასუხონ გარე ეკონომიკურ, სოციალურ თუ პოლიტიკურ ზეწოლას, რომლებიც გავლენას ახდენენ ტერიტორიის ეკოლოგიურ და კულტურულ ფასეულობებზე.

ადამიანები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბიოსფეროში ენერგიის ნაკადების შენარჩუნებაში. მიუხედავად ამისა, ისინი ზოგჯერ აფერხებენ ამ პროცესს. მაგალითად, როდესაც ადამიანები გადაჭარბებულად მოიხმარენ ტყის მერქნულ რესურსებს; წიაღისეულ საწვავს — ქვანახშირსა და ნავთობს, ატმოსფეროში ჟანგბადის დონე იკლებს და ნახშირორჟანგის დონე იმატებს. ნავთობის ჩაღვრა და ინდუსტრიული ნარჩენები საფრთხეს უქმნიან ჰიდროსფეროში მცხოვრებ ცოცხალ ორგანიზმებს. 1970 წელს გაეროს ეგიდით დაიწყო პროგრამა ,,ადამიანი და ბიოსფერო“ (Man and the Biosphere (MAB)). ამ პროექტის ფარგლებში გამოიყო ბიოსფერული რეზერვატების ქსელი, რომელთა მიზანია ადამიანსა და ბუნებას შორის ბალანსის შენარჩუნება. პროგრამის მისიას წარმოადგენს ბალანსის დაცვა ხშირად წინააღმდეგობრივ მიზნებს შორის : ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაცია, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და კულტურული ფასეულობების შენარჩუნება.

სამინისტროს ინიციატივით, ეროვნული სატყეო პროგრამის ფარგლებში, სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელიც საქართველოს რეგიონების პოტენციალს შეისწავლის, რაც იუნესკოს ბიოსფერული რეზერვატის კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს. მიხაილ ზუკოს ფონდმა საქართველოს რეგიონების წინასწარი შესწავლის მიზნით დოკუმენტი 17 სექტემბერს წარმოადგინა. ახლო მომავალში შემუშავებული დოკუმენტის და საჯარო კონსულტაციების საფუძველზე პოტენციური რეგიონი ბიოსფერული რეზერვატის შექმნისთვის შეირჩევა. ამ დროისთვის მსოფლიოს 120 ქვეყანაში სულ 651 ბიოსფერული რეზერვატი არსებობს :

- 67 — აფრიკის 28 ქვეყანაში
- 28 —11 არაბულ სახელმწიფოში
- 137 — აზიისა და წყნარი ოკეანის 24 ქვეყანაში
- 297 — ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის 36 ქვეყანაში
- 122 — ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის 21 ქვეყანაში

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 20.11 | | სამშაბათი 21.11 | | ოთხშაბათი 22.11 | | ხუთშაბათი 23.11 | | პარასკევი 24.11 | | შაბათი 25.11 | | კვირა 26.11 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 14 ° | 11 ° | 14 ° | 10 ° | 8 ° | 7 ° | 8 ° | 2 ° | 3 ° | 0 ° | 2 ° | 0 ° | 2 ° | 1 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.